საქართველოს
გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში

2018 წელი

საქართველო, თბილისი, 0114
გულუას ქ. 6

www. mepa.gov.ge
ცხელი ხაზი 153

სარჩევი

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლი -2018 2

ორგანიზაციული სტრუქტურა 4

ბიუჯეტი 5

შესაძლებლობათა გაძლიერება 6

საინფორმაციო სისტემების განვითარება 9

ცხელი ხაზი - 153 10

კანონდარღვევათა სტატისტიკა 11

რეგულირების ობიექტების შემოწმებათა გეგმა 17

ინსპექტირება 18

პრევენციული ღონისძიებები 22

განსახორციელებელი გეგმები - 2019 25

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლი - 2018

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი** უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას (გარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლისა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების კონტროლი;
- კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელება.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, დეპარტამენტი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შემდეგი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით: სამართალდარღვევების თავიდან აცილების (პრევენციული და ხელმშემწყობი) ღონისძიებების გატარება, მოთხოვნათა შესრულების მონიტორინგი, რეგულირების ობიექტების ინსპექტირება, გამოვლენილ დარღვევებზე დროული და პროპორციული რეაგირება.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების შესაბამისად, დეპარტამენტი, საქმიანობას წარმართავს 2 ძირითადი მიმართულებით -

- უწყვეტი (24-საათიანი) გარემოსდაცვითი პატრულირება და სწრაფი რეაგირება;
- გარემოსდაცვითი ინსპექტირება.



გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფები, სწრაფი რეაგირების ეკიპაჟების მეშვეობით, ახორციელებენ 24-საათიან პატრულირებას ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების, გარემოს ნარჩენებით დაბინძურების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

გარემოსდაცვითი ინსპექტირება ხორციელდება გარემოს ინტეგირებული კონტროლისა და ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურების, რეგიონული სამმართველოების გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილებების, შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს ინსპექტორების მეშვეობით და ძირითადად ფოკუსირებულია:

- რეგულირების ობიექტების - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების (გარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისა), გარემოზე ზემოქმედების შეფასების სფეროში გაცემული ნებართვების/გადაწყვეტილებების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული ობიექტების, MARPOL 73-78 კონვენციის შესაბამისად საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების ინსპექტირებაზე (გეგმიური, არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება-შესწავლა).

ორგანიზაციული სტრუქტურა

დეპარტამენტი საქმიანობას ახორციელებს ცენტრალურ აპარატში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების, 7 რეგიონული სამმართველოსა და შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს მეშვეობით.

2018 წლის მდგომარეობით დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნება **411** საშტატო ერთეულს შეადგენს. მათ შორის, 94 - ცენტრალურ აპარატში, 317 - ტერიტორიულ სამმართველოებში.



დიაგრამა 1. დეპარტამენტის სტრუქტურა, 2018



დიაგრამა 2. საშტატო რიცხოვნების დინამიკა, 2013-2018

ბიუჯეტი

“საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” კანონით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დაფინანსება 10 891 000 ლარით განისაზღვრა.



დიაგრამა 3. ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2018 წ.



დიაგრამა 4. ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2015-2018 წ.წ.

შესაძლებლობათა გაძლიერება

დეპარტამენტის უფლებამოსილებების სრულფასოვნად შესრულებისა და შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით 2018 წელს გაგრძელდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და აღჭურვის ღონისძიებები, ოფისების კეთილმოწყობა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება.

მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა

სატრანსპორტო საშუალებები:

- მაღალი გამავლობის ავტომანქანები - 27 ერთეული

სწრაფი რეაგირების თანამშრომელთა აღჭურვილობა:

- სპეცტანსაცმელი (უნიფორმა)
- საველე აღჭურვილობა

2016-2017 წლებში ქ.ქ. ოზურგეთში, გორში, ამბროლაურში, ახალციხესა და ბათუმში აშენებულ რეგიონული სამმართველოების ადმინისტრაციულ შენობებს 2018 წელს დაემატა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს ახალი ოფისი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფ. ჭითაწყარში. ახალ ადმინისტრაციულ შენობაში, ინსპექტირებისა და სწრაფი რეაგირების ჯგუფები განთავსდა, რაც საშუალებას აძლევს მეწარმეებსა და მოქალაქეებს ერთ სივრცეში ისარგებლონ ყველა საჭირო სერვისით.

კვალიფიკაციის ამაღლება

2018 წელს დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგები, მათ შორის, შემდეგ თემებზე:

- "გარემოსდაცვითი ლაბორატორიებისათვის ISO 17025 სტანდარტის განხორციელების საკითხები" – ("IWRM ACADEMY" პროექტი, თბილისი, 15-16 თებერვალი, 15-16 მარტი, 2018 წ.), დატრენინგდა 2 ინსპექტორი;
- "ჩამდინარე წყლების ემისიების და ინვენტარიზაციის საკითხები" – ("IWRM ACADEMY" პროექტი, თბილისი, 22-23 თებერვალი, 2018 წ.), დატრენინგდა 14 ინსპექტორი;
- ინოვაციური SMART ტექნოლოგიების გამოყენება - (ფაუნა და ფლორა ინტერნეშენელი - FFI, ფოთი, 5-9 მარტი, 2018 წ.), დატრენინგდა 6 თანამშრომელი;
- „ნარჩენების მართვის კანონმდებლობიდან გამომდინარე გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები“ – (კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი - CENN, ბათუმი, 28-31 მარტი, 2018 წ.), დატრენინგდა 23 ინსპექტორი;
- დეპარტამენტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება GIS-ის სისტემაში ეფექტური მუშაობისთვის - (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება - GIZ, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, თბილისი, 28 მაისი-8 ივნისი, 2018 წ.), დატრენინგდა 14 თანამშრომელი;
- სასწავლო ტური ინსპექტირების საუკეტესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით - („საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება სამრეწველო დაბინძურებისა და საფრთხეების სფეროში ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობასთან დაახლოებისა და მისი იმპლემენტაციის მიზნით“ ევროკავშირის დაძმობილების პროექტი (TWINNING), გალიცია, ესპანეთი, 24 ივნისი - 1 ივლისი, 2018 წ.), მონაწილეობა მიიღო 8 თანამშრომელმა;
- სამრეწველო ემისიების დირექტივის (IED) განხორციელებისთვის ტრენერების მომზადება - („საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლერება სამრეწველო დაბინძურებისა და საფრთხეების სფეროში ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობასთან დაახლოებისა და მისი იმპლემენტაციის მიზნით“ ევროკავშირის დაძმობილების პროექტი (TWINNING), თბილისი, 12-15 ივნისი, 10-13 ივლისი, 18-21 სექტემბერი, 2018 წ.), დატრენინგდა 7 თანამშრომელი;
- ინსპექტირების დაგეგმვის საკითხები ამავე პროექტის ფარგლებში - (თბილისი, 20-21 დეკემბერი, 2018 წ.), სწავლება გაიარა 15 თანამშრომელმა;

- თევზჭერის კონტროლისა და ინსპექტირების საკითხები - (European Fisheries Control Agency, ბათუმი, 25-27 სექტემბერი, 2018 წ.), დატრენინგდა 8 თანამშრომელი;
- მასშტაბური ავარიების პრევენციის კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხები - (ჩეხეთის განვითარების სააგენტოს პროექტი „პრაქტიკული ტრენინგი უსაფრთხოების დოკუმენტაციის დიზაინში SEVESO-ს მიხედვით“, თბილისი, 14 -15 ნოემბერი, 2018 წ.), დატრენინგდა 12 ინსპექტორი;
- სახერხი საამქროების ელექტრონულ ჟურნალში მუშაობის ახალი მეთოდები - (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება - GIZ, კაჭრეთი,16-17 ნოემბერი, 2018 წ.), დატრენინგდა 14 თანამშრომელი;
- გარემოსდაცვითი პასუხიმგებლობის შესახებ დირექტივის მოთხოვნების (2004/35/EC) პრაქტიკული იმპლემენტაცია - (ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბილისი, 10-14 დეკემბერი, 2018 წ.), დატრენინგდა 15 ინსპექტორი.

საინფორმაციო სისტემების განვითარება

2018 წელს რეგულირების ობიექტების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საინფორმაციო სისტემების მართვასა და განვითარებას:



- **მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა** - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელები ახორციელებენ ტყეკაფების აღრიცხვას, დამზადებულ ხე-ტყეზე გამოწერილი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების ასახვასა და სისტემაში ელექტრონულად ატვირთვას;
  - 2018 წელს მიმდინარეობდა მუშაობა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის - შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ზედნადების სისტემასთან ინტეგრირების მიზნით, რაც უზრუნველყოფს ხე-ტყის/პირველადი გადამუშავების პროდუქტის მოძრაობის კონტროლისა და მიკვლევადობის გაუმჯობესებას, დოკუმენტების გაყალბების რისკის მინინუმამდე შემცირებას.

- **სახერხი საამქროების ელექტრონული სისტემა** - მრგვალი ხე-ტყის პირველადი გადამუშავების საამქროების მფლობელები ახორციელებენ მრგვალი მორის მიღება-გადამუშავების აღრიცხვას, გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის ასახვას და პროდუქტის გატანის რეგისტრაციას;
  - გამკაცრდა სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნები (საქართველოს მთავრობის დადგენილება №347, 29.06.2018წ. – „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ);



- **თევზჭერის ელექტრონული სისტემა** - თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის მფლობელები და სამრეწველო თევზჭერის განმახორციელებელი პირები - ახორციელებენ სამრეწველო თევზჭერის პროცესების ელექტრონულად მართვას; კერძოდ, თევზსაჭერი გემები „ელექტრონულ სარეწაო ჟურნალში“ online-რეჟიმში ახორციელებენ ყოველდღიური თევზჭერის აღრიცხვას;
  - საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტი მონიტორინგს უწევდა 2017-2018 წლების სეზონის სამრეწველო თევზჭერის მიმდინარეობას შავ ზღვაში.
  - 2018 წელს შავ ზღვაში სამრეწვეელო თევზჭერის მონაცემების შეფასებისა და ანალიზის გაუმჯობესების მიზნით, თევზჭერის ელექტრონულ სისტემაში შემუშავდა რეპორტების მოდულები.

ცხელი ხაზი - 153

24-საათიანი „ცხელი ხაზის - 153“ საშუალებით დეპარტამენტი მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისგან იღებს შეტყობინებებს გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევების შესახებ, რომლებზეც ოპერატიული რეაგირება ხორციელდება; მოქალაქეებს ასევე საშუალება აქვთ მიიღონ საჭირო ინფორმაცია და კონსულტაცია დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

- 2018 წელს „ცხელი ხაზიდან“ დეპარტამენტში შემოვიდა **2 601** შეტყობინება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, რაზედაც დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რეაგირება და გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

	თემატიკა	რაოდენობა
•	სახერხი საამქროს ელექტრონული ჟურნალის წარმოებასთან დაკავშირებით	1019
•	ტყის კანონმდებლობის დარღვევა	467
•	ნარჩენებით გარემოს დაბინძურება	216
•	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	209
•	სუნის გავრცელება	161
•	ცხოველთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევა	112
•	სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა	106
•	უკანონო თევზჭერა	103
•	წიაღის კანონმდებლობის დარღვევა	80
•	წყლის კანონმდებლობის დარღვევა	38
•	უკანონო ნადირობა	31
•	მიწის კანონმდებლობის დარღვევა	27
•	ლუქის დაზიანება	11
•	ხმაურის გავრცელება	14
•	ავარიები/ინციდენტები	5
•	დეპარტამენტის საქმიანობაზე	2
	სულ	2 601

კანონდარღვევათა სტატისტიკა

2018 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გარემოსდაცვითი პატრულირებისა და ინსპექტირების განხორციელების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 7 040 ფაქტი. მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 6 544 ფაქტი, რომლებიც გადაგზავნილ იქნა შესაბამის სასამართლო ორგანოებში განსახილველად;
- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე – 496 ფაქტი, საქმეები რომელთა შესახებ გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის.



დიაგრამა 5. კანონმდებლობის დარღვევათა დინამიკა, 2013-2018 წ.წ.



	ცენტრალური ოფისი	აღმოსავლეთის რეგ. სამმართვ.	სამცხე-ჯავახეთის რეგ. სამმართვ.	ქვემო ქართლის რეგ. სამმართვ.	კახეთის რეგ. სამმართვ.	დასავლეთის რეგ. სამმართვ.	სამეგრელო-ზ/სვანეთის რეგ. სამმართვ.	აჭარის რეგ. სამმართვ.	შავი ზღვის დაცვის კონვენც. სამმართვ.
ადმინისტ.	427	569	798	512	1094	1407	444	1241	52
სისხლი	40	45	53	41	62	106	78	71	

დიაგრამა 6. კანონმდებლობის დარღვევათა გამოვლენა სამსახურების მიხედვით, 2018 წ.

სამართალდარღვევათა სტრუქტურა

• ტყითსარგებლობის წესების დარღვევა	1 382 ფაქტი
• ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევა	1 035 ფაქტი
• წიაღის კანონმდებლობის დარღვევა	1 140 ფაქტი
• ნადირობის წესების დარღვევა	228 ფაქტი
• თევზჭერის წესების დარღვევა	346 ფაქტი
• ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევა	573 ფაქტი
• სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა	795 ფაქტი
• ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის დარღვევა	809 ფაქტი
• მიწის კანონმდებლობის დარღვევა	200 ფაქტი
• წყლის კანონმდებლობის დარღვევა	259 ფაქტი
• გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების დარღვევა /უნებართვო საქმიანობა	84 ფაქტი
• გემებიდან ზღვის დაბინძურება	14 ფაქტი
• სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებათა რეგისტრაციის წესების დარღვევა	25 ფაქტი
• სხვა დარღვევები	150 ფაქტი
სულ	**7040 ფაქტი**



დიაგრამა 7. სამართალდარღვევათა სტრუქტურა, 2018 წ.

სისხლის სამართლის საქმეები

სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე 496 საქმე გადაგზავნილია საგამოძიებო ორგანოებში შემდგომი რეაგირებისთვის. მათ შორის:

• უკანონო თევზჭერა/ნადირობა	148
• ხე-ტყის უკანონო მოპოვება	190
• წიაღის უკანონო მოპოვება	60
• მიწის დაბინძურება, დეგრადაცია, ნაყოფიერი ფენის მოხსნა	13
• სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევა	61
• სხვა დარღვევები	24
	სულ 496 საქმე



დიაგრამა 8. სისხლის სამართლის საქმეები რეგიონული სამმართველოების მიხედვით, 2018 წ.

ჯარიმა და გარემოზე მიყენებული ზიანი

2018 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმის თანხამ **3 850 800** ლარი შეადგინა.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ **10 033 170** ლარი შეადგინა, მათ შორის:

- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტებზე - 5 849 812 ლარი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე - 4 183 358 ლარი.

წ.წ.	ჯარიმა	ზიანი
2013 წ.	1 980 790	6 707 558
2014 წ.	4 593 150	52 530 342
2015 წ.	4 032 108	110 277 067
2016 წ.	4 731 090	10 339 744
2017 წ.	5 407 830	9 282 496
2018 წ.	3 850 800	10 033 170

უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი

2018 წელს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გამოვლინდა უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი:

სახეობა	ოდენობა	სახეობა	ოდენობა
ინერტული მასალა, მ^3	186 574	ხე-ტყე სამასალე,მ^3	18 023,4
თიხა, მ^3	65	ხე-ტყე საშეშე, მ^3	5 985,0
პორფირიტი, მ^3	16,72	თევზი, კგ	803
მანგანუმის ნედლი მადანი, ტ	1323	შველი, ეგზ.	1
სილიკომანგანუმის წიდა, ტ	238	მურა დათვი, ეგზ.	1
ტეშენიტი, მ^3	10	არჩვი, ეგზ.	1
ვულკანური წიდა, მ^3	4200	კვერნა, ეგზ.	1
საცემენტე ნედლეული, მ^3	2105	ფრინველი, ეგზ.	83

რეგულირების ობიექტების შემოწმებათა გეგმა

გარემოსდაცვთი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ რეგულირების ობიექტების 2018 წლის შემოწმებათა გეგმის (მინისტრის ბრძანება №2-651, 08.08.2018წ.) შესაბამისად, განხორციელდა 40 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება.

მათ შორის:

- 5 - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმება;
- 1 - სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმება;
- 34 - გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემოწმება, მათგან:
    - 20 სახიფათო ნარჩენების ინსინერატორი და ნარჩენების აღდგენის საწარმო;
    - 5 ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, თხევადი და ბუნებრივი აირების საცავი;
    - 9 ჰიდროელექტროსადგური.

ინსპექტირება

2018 წელს დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რეგულირების ობიექტების (მათ შორის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოსდაცვითი ნებართვის/გადაწყვეტილების მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) **2 968** ინსპექტირება:

- **რეგულირების ობიექტების გეგმიური შემოწმებები** - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დამტკიცებული რეგულირების ობიექტების 2018 წლის შემოწმებათა გეგმის შესაბამისად;
- **რეგულირების ობიექტების არაგეგმიური შემოწმებები** - დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ შორის, მოქალაქეთა საჩივრების, „ცხელ ხაზზე“ (153) შემოსული ინფორმაციების, უწყებების/ორგანიზაციების მომართვების, ასევე წინა შემოწმების საფუძველზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გადამოწმების მიზნით.
- **რეგულირების ობიექტების საქმიანობის დათვალიერება-შესწავლა** - „ცხელ ხაზზე“ შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირების, ობიექტის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვების, პრევენციული ღონისძიებიების განხორციელების მიზნით.

რეგულირების ობიექტების ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის 3 068 დარღვევა, მათ შორის, 2 897 - ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, 171 - სისხლის სამართლის საქმე.

ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების შემოწმების შედეგები

2018 წელს განხორციელდა ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის 21 შემოწმება, მათ შორის:

4 - სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შერჩევითი შემოწმება;

17 - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის პირობების შესრულების, ასევე ლიცენზიის ფარგლებში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შერჩევითი გეგმიური/არაგეგმიური შემოწმება;

შედეგი:

- 2 შემოწმების შედეგებით, ლიცენზიით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევა არ გამოვლინდა;
- **17** შემოწმების შედეგებით გამოვლინდა ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობა, მათ შორის, 10 საქმეზე შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოებს;

გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები:

- ტყეკაფის არასწორად გამოყოფა (9 საქმე);
- ტყეკაფის გაუწმენდაობა (4 საქმე);
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა - (1 საქმე)
- ხე-ტყის უკანონო ჭრა (14 საქმე - სულ, 14 718,0 მ^3).

შემოწმებით გამოვლენილი დარღვევების შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ **3 504 090,6** ლარი შეადგინა.

სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის პირობების შემოწმების შედეგები

2018 წელს განხორციელდა 2 სამონადირეო მეურნეობის შემოწმება ლიცენზიით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, შედეგად:

- 1 შემოწმების პროცესში გამოვლინდა ლიცენზიის პირობების დარღვევა, ხეტყის უკანონო მოპოვების ფაქტი; გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამო, საქმის მასალები გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოებს (ზიანის დაანგარიშებული ოდენობა - 28 028,34 ლარი).

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემოწმების შედეგები

2018 წელს დეპარტამენტის მიერ განხორციელდა გეგმიური/არაგეგმიური შემოწმება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტს დაქვემდებარებულ 58 რეგულირების ობიექტში.

შემოწმების შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების დარღვევებზე კანონმდებლობით დადგენილი ზომების გატარების შემდგომ, დარღვევათა აღმოსაფხვრელად, განესაზღვრათ/ან განესაზღვრებათ გონივრული ვადები.

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოვლინდა 14 საწარმო, რომელიც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ან სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე ახორციელებდა საქმიანობას.

შავი ზღვის დაბინძურებისა და თევზჭერის კონტროლი

შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახურის მიერ MARPOL 73-78 კონვენციის შესაბამისად:

- განხორციელდა საქართველოს ნავსადგურებში შემოსული **223** გემის ინსპექტირება გარემოსდაცვითი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებებსა და მინარევებთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაციის მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის **25** მცურავი საშუალების პასუხისმგებელ პირთა მიმართ გატარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ზომები.
- დაფიქსირდა გემებიდან ზღვის დაბინძურების **14** შემთხვევა. პასუხისმგებელი პირები დაჯარიმდნენ - თითოეული 65 000 ლარით. გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 19 160,5 ლარი. დაწესდა კონტროლი ზღვის დაბინძურების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებაზე.

შავი ზღვის აკვატორიაში განხორციელებული რეიდების შედეგად გამოვლინდა თევზჭერის წესების დარღვევის **13** ფაქტი, ჩამორთმეულ იქნა სხვადასხვა სახეობის თევზი და სამართალდარღვევის ჩადენის იარაღები (12 ბადე, 5 ნავი).

პრევენციული ღონისძიებები

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კონტროლი

„ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2018 წელს განხორციელდა 30 შემოწმება, ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებში დათესილი ან/და სასაწყობო მეურნეობებში ნიმუშების აღებისა და მათში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობების იდენტიფიცირების მიზნით.

- ლაბორატორიული კვლევის შედეგების შესაბამისად, საკვლევი ნიმუშები გმო მარკერებს არ შეიცავს.

საწვავის ხარისხის კონტროლი

საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2018 წელს თებერვალში განხორციელდა სინჯების აღება საწვავის მიწოდების პროცესში შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიას" კუთვნილი 7 ავტოგასამართი სადგურიდან. ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

- საკვლევი ბენზინის ნიმუშებში გოგირდისა და ტყვიის შემცველობები აკმაყოფილებდა "საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 დადგენილებით დადგენილ ნორმებს.
- საკვლევი დიზელის საწვავის ნიმუშებში, ცეტანური რიცხვის, სიმკვრივისა და გოგირდის შემცველობის მნიშვნელობები აკმაყოფილებდა „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის №238 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს.

საავტომობილო საწვავში ტყვიის შემცველობის დადგენის მიზნით, 2018 წლის დეკემბერში როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში არსებული, შერჩევითი წესით განსაზღვრული 136 ბენზინგასამართი სადგურის რეზერვუარებიდან განხორციელდა 240 ერთეული სხვადასხვა მარკის საავტომობილო ბენზინის სინჯის აღება.

- ლაბორატორიული კვლევით დადგინდა, რომ ტყვიის შემცველობა საავტომობილო ბენზინის ყველა საკვლევ ნიმუშში აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების კონტროლი

2018 წელს განხორციელდა პრევენციული ღონისძიებები არარეგისტრირებული სახერხი საამქროების ფუნქციონირების, ასევე უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის გადამუშავების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

მომზადდა ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, „მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტში“ (მთავრობის დადგენილება №46, 10.01.2014 წ.), შედეგად:

- სახერხი საამქროს რეგისტრაციის გარეშე მოწყობისათვის დადგინდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ჯარიმის ან ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით, იურიდიული პირისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 წლამდე;
- გამკაცრდა მოთხოვნები მრგვალი ხე-ტყის სახერხი საამქროს განთავსებისადმი.

2018 წლის მდგომარეობით, მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი **785** საამქრო. ამასთან, გამოვლინდა **169** ელექტრონულ სისტემაში არარეგისტრირებული, უკანონო სახერხი საამქრო.

რეგიონები	სახერხი საამქროები	
	რეგისტრირებული	არარეგისტრირებული
• ქ. თბილისი	4	1
• მცხეთა-მთიანეთი	12	-
• შიდა ქართლი	57	29
• ქვემო ქართლი	4	8
• კახეთი	61	13
• სამცხე-ჯავახეთი	145	32
• იმერეთი	130	28
• რაჭა-ლეჩხუმი, ქვ. სვანეთი	85	2
• გურია	35	3
• სამეგრელო-ზემო სვანეთი	138	24
• აჭარა	114	29
სულ 2018 წ.	**785**	**169**

უკანონო ტყითსარგებლობის აღკვეთის ღონისძიებები

უკანონო ტყითსარგებლობის აღკვეთის მიზნით, დეპარტამენტის ინიციატივით მომზადდა ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში, სხვა კანონქვემდებარე აქტებში. შედეგად:

- გამკაცრდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვა/დაზიანებისთვის;
- გამკაცრდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა წითელი ნუსხით დაცული მცენარეების უკანონოდ გაჩეხვისთვის, ასევე ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხვის ან ტრანსპორტირების წესების დარღვევის შემთხვევაში, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

ასევე მომზადდა წინადადებები ამ მიმართულებით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, მათგან მნიშვნელოვანია:

- გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ეკიპაჟების გაზრდა, ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაფარვით;
- ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ტექნიკითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
- ხე-ტყის კონტროლის ელექტრონული მექანიზმების გაუმჯობესება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვარის ტერიტორიაზე არსებულ საგუშაგოზე ხე-ტყის (მათ შორის, სოციალური ხე-ტყის) და სოციალური ხე-ტყიდან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირების კონტროლის მიზნით, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ 24-საათიან რეჟიმში განხორციელდა 2 500-ზე მეტი ავტოტრანსპორტის დათვალიერება და შესაბამისი ხე-ტყის და პირველადი გადამუშავების პროდუქტის დოკუმენტაციის შესაბამისობის გადამოწმება.

სულ 2018 წელს დეპარტამენტის მიერ ინსპექტირებისა და პატრულირების პროცესში გამოვლინდა უკანონოდ მოჭრილი 24 008,4 მ^3 ხე-ტყე (სამასალე - 18 023,4 მ^3, საშეშე - 5 985,0 მ^3. გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 4 721 467,6 ლარი.

განსახორციელებელი გეგმები - 2019

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც გამომდინარეობს ქვეყნის წინაშე არსებული პრიორიტეტებიდან, ასევე ღრმა და ყოველმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით (DCFTA) და ევროკავშირის დირექტივებით ნაკისრი ვალდებულებებიდან. აქედან გამომდინარე, 2019 წელს დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:



- **დეპარტამენტის სტრუქტურული ოპტიმიზაცია -**
  - გაიზრდება გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების მობილური ჯგუფების (ეკიპაჟების) რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო ტერიტორიების სრულად დაფარვას და შედეგად, სამართალდარღვევათა პრევენციასა და შემაკავებელი გარემოს გაუმჯობესებას;
- **სახელმწიფო კონტროლის მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა -**
  - შემუშავდება დეპარტამენტის საშუალოვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
  - შემუშავდება გარემოსდაცვითი შემოწმების პრიორიტეტებისა და რისკების მეთოდოლოგია;
  - რეგულირების ობიექტების შემოწმებათა დაგეგმვა გაანხორციელდება კონტროლის პრიორიტეტებსა და რისკების შეფასებაზე დაყრდნობით;
- **ტრენინგები თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით -**
  - დაგეგმილია სწრაფი რეაგირების თანამშრომლებისთვის სწავლების ჩატარება დეპარტმენტის შიდა რესურსის გამოყენებით.
- **კონტროლის ელექტრონული სისტემების განვითარება -**
  - ხე-ტყის კონტროლის ელექტრონული მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით - გაგრძელდება მუშაობა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ზედნადების სისტემასთან ინტეგრირების მიზნით;
  - განხორციელდება თევზჭერის მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება/სრულყოფის მიზნით.